# ცნობის ფურცელი

IV წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ოთხშაბათი, 29 დეკემბერი 1899 წ. № 1000.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელთუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

**ტელეფონი № 372** — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"—„Моамбэ"

## 1900 წ.

### „მოამბე"

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლ. | 6 თვ. | 3 თვ. |
| --- | --- | --- | --- |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში . . . | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . . | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

### „ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| | 1 წლით | 1 თვით |
| --- | --- | --- |
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . | 6 მან. | 75 კაპ. |
| სამზღვარ გარეთის ქალაქებში. . . . . . | 7 მან, | 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწერს შეღავათი მიეცემა**

**ჟურნალში** ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის მინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели".

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 30 დეკემბერს,**

ბენეფისი **კ. დ. ყიფიანისა**

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ბ-ნ **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

# დ ა - ძ მ ა

დრამა 5 მოქმედ. ვ. გუნიასი

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნები **კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი,** ბ-ნები **ალექსი-მესხიშვილი,** ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, აღამიძე და სხვ.

**კვირას, 2 იანვარს, გამართული იქნება საიუბილეო წარმოდგენა.**

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე**

ნ. (3—2) რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

Въ Центральной книжной торговлѣ (въ Тифлисѣ) и въ книжномъ магазинѣ Бежанейшвили (въ Кутаисѣ) продается **новая книга**

# Календарь-Альманахъ

## НА 1900 Г.

сост. **Г. Ласхишвили**

(съ картой Трансвааля и портретами буровъ).

Въ книгѣ кромѣ календарныхъ свѣдѣній помѣщены разсказы К. С. Баранцевича, Малишевкаго и др.; стихотворенія Иванъ-да-Марья и Л. Кипіани; театральное обозрѣніе и др. статьи. **Ц. 20 коп.**

Складъ изданія—въ литографіи Шахбазіана, на Барятинской ул., д. № 8. ნ. (10—3)

გამოვიდა და ისყიდება წიგნის მაღაზიებში

# ლაზარილიო

ესპანიური მოთხრობა, თარგმანი პ. უმიკაშვილისა,

**ფასი ორი შაური.** 3—1

## ახალი ამბავი

—

✦ 26 დეკემბერს, როგორც „ტფ. ფურცელი" იტყობინება, აზოვ-დონის ბანკის გამგეობის წევრმა ნ. ნ. ნიკოლაევმა წარუდგინა მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს ორმოცდა ათი ათასი მანეთის ჩეკი, გამოგზავნილი სასახლის მინისტრისაგან და **შემოწირული** მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის **ხელმწიფე იმპერატორის მიერ.** ეს ჩეკი 27 დეკემბერს თავ. გოლიცინმა გადასცა უმთავრეს კომიტეტის თავმჯდომარეს ი. ნ. სვეჩინს.

ამ ფულიანად კომიტეტს შემოუვიდა დღემდის 90 ათას მანეთამდე.

✦ ორშაბათს, 27 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ტფილისის გუბერნატორის ი. ნ. სვეჩინის სადგომში მოხდა პირველი სხდომა უმთავრესი კომიტეტისა, რომელიც დაარსებულია ი. ნ. სვეჩინის თავმჯდომარეობით ახალქალაქის მაზრაში **დაზარალებულთა დახმარებისათვის.** კომიტეტში მონაწილეობას იღებენ: თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, უმაღლესის სასახლის კამერგერი თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი, სამხედრო საექიმო ნაწილის ინსპექტორი ი. ი. მალინინი, ვიცე გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, ა. ი. მანთაშევი, წარმომადგენელნი ადგილობრივ ბანკებისა და გაზეთებისა და სხვანი. კომიტეტმა აირჩია ხაზინადრათ ა. ი. მანთაშევი და მდივნად გ. ი. ლუცენკო. შემდეგი კრება კომიტეტს ექნება დღეს.

✦ **ახალქალაქიდან** იტყობინებიან: ახლა ნამდვილად შეიტყეს, რომ ძლიერი მიწის ძვრა ათი ვერსის მანძილზედ იყო. ტაბისცხურის ტბის გაღმა მდებარე სოფლებიც დაუზიანებია მიწის ძვრას, მაგრამ დანამდვილებით არაფერი არ იცის არავინ, რადგან დიდის თოვლებისა გამო გზები გაფუჭებულია და მიმოსვლა შეწყვეტილია. სოფ. წითელ-საყდრიდან მოსული გლეხები ამბობენ, რომ მიწის ძვრას იქ დაუნგრევია რამდენიმე სახლი და [illegible] რამდენიმე კაცი. მო-

დის ბევრი შემოწირულება ტანსაცმელითა და ფეხსაცმელით, რომელსაც მაშინვე ანაწილებს ახალქალაქის კომიტეტი.

✦ ამ მოკლე ხანში ბათუმს, ბაქოსა და განჯაში გაიმართება ჩვეულებრივი **ქართული საღამო.** მათ გასამართავად უკვე შესდგომიან მზადებას და ტფილისიდან იწვევენ არტისტებს და მომღერლებს. საღამოების შემოსავალი გადაიდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ 20 დეკემბერის სოხუმის საბჭოს სხდომაზე ქალაქის მდივნად ამოურჩევიათ ნაფიც ვექილის თანაშემწე ბ-ნი გრიგოლ **გვალესიანი.** თეთრი კენჭი ამოსვლია 15 და შავი—10.

✦ როგორც გვატყობინებენ, ქუთაისის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი ამ ჟამად ასწორებენ იმ თავად-აზნაურთა სიებს, რომელთაც ცენზი ნებას აძლევს მიიღონ მონაწილეობა **სათავად-აზნაურო არჩევნებში.** მას შემდეგ რაც ეს სიები იყო შედგენილი, ბევრი მამული დაიყო, ბევრი გაიყიდა, ასე რომ ამ ჟამად ძალიან შემცირდა იმ თავად-აზნაურთა რიცხვი, რომელთაც კანონი ნებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს განუზრახავს დააარსოს ოზურგეთის ახლო **თამბაქოს სანიმუშო პლანტაცია.** ამ პლანტაციისთვის ადგილის ასარჩევად და საჭირო შენობების გეგმის შესადგენად სამინისტროს რწმუნებულმა გაგზავნა ოზურგეთში აგრონომები ბ. ტიმოფეევი და ერ. ნაკაშიძე არხიტექტორითურთ, რომელნიც წავიდნენ უკვე უზურგეთს ორშაბათს, 27 დეკემბერს.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ 4 იანვარს ქ. ოზურგეთში დანიშნულია **ოზურგეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის** წევრთა კრება. კრებამ უნდა გარდასწყვიტოს შემდეგი საქმეები: 1)

განიხილოს ამხანაგობის 1899 წლის ანგარიში, 2) აირჩიოს გამგეობის ახალი წევრი ნაცვლად დ. ცეცხლაძისა, რომელიც თავს ანებებს გამგეობის წევრობას, 3) აირჩიოს საბჭოს ორი წევრი და 4) გარდასწყვიტოს კითხვა—ჩაეწეროს ამხანაგობა მოსკოვის ცენტრალურ ამხანაგობის წევრად—თუ არა?

✦ ოზურგეთიდანვე გვატყობინებენ, რომ 9 იანვარს იქ დანიშნულია მეორე **კრება ოზურგეთის** თავისუფალ **ეტლთა წარმოების ამხანაგობის წევრთა**. კრებამ უნდა განიხილოს ამხანაგობის ანგარიში 1899 წლისა და აირჩიოს ახალი გამგეობა.

✦ კვირას, 26 დეკემბერს, სახალხო კითხვათა სადგომში გაიმართა **ბავშვებისთვის სამუსიკო და სალიტერატურო დილა**. დილის პროგრამმა კარგად იყო შედგენილი და შესრულებული. პირველ განყოფილებაში ქართულ საკვირაო სკოლის მოსწავლეთა ხორომ იმღერა „ამირანი“ და რამდენიმე სახალხო სიმღერა; შემდეგ მოსწავლემ წაიკითხა რაფ. ერისთავის ლექსი „საქართველო“; ბ. ურუშაძემ წარმოსთქვა რამდენიმე სცენა იმერლის ცხოვრებიდან; დასასრულ ბ. კრაევცმა სკრიპკაზე დაუკრა გოდარის კონცერტი და ვენიავსკის მაზურკა, როიალზე აკომპანიმენტს უკრავდა თავ. ნ. ნაკაშიძე. მეორე განყოფილებაში ბ. ფალიაშვილის ხორომ შეასრულა „გოგონა“, „ბუბა ქაქუჩელა“, ბ. ყარაევის ლეკური და რამდენიმე ქართული სახალხო სიმღერა; შემდეგ იმავე ხორომ შეასრულა რუსულად **„Ой да за Дунаемъ“, „Проторыли тропинку“** და სხვ.

მთელი დარბაზი სავსე იყო ღარიბ ბავშვებით, რომელთ სიხარულსა და სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა. უმეტესად მოეწონათ მათ ბ. ფალიაშვილის ხოროს მშვენიერი და მწყობრი სიმღერა, ბ. კრაევცის სკრიპკაზე დაკვრა და ბ. ურუშაძის სახუმარო სცენები.

მადლობის ღირსნი არიან როგორც დილის მომწყობნი, ისე იმაში მონაწილეობის მიმღებნი. სასურველია, რომ ამგვარი გასართობი ხშირად მიაწოდონ ჩვენებურ ღარიბ ბავშვებს.

✦ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „სახალხო კითხვათა კომისიის ქართული თეატრალური სექცია უღრმეს მადლობას უცხადებს ბ. ფალიაშვილს და მის ხოროს წევრებს, ბ. კრაევცს და თავ. ნ. ნაკაშიძეს და ბ. ურუშაძეს, რომელთ არ დაიზარეს და მონაწილეობა მიიღეს ბავშვთათვის გამართულ მუსიკალურ-ლიტერატურულს დილაში“.

✦ ორშაბათს, 27 დეკემბერს, ბაქოდან მომავალმა სალამოს **მატარებელმა დაიგვიანა 7 საათით**. მიზეზი ის ყოფილა, რომ საქონლის მატარებლის ვაგონი რელსებს გადასცდენოდა და გზა გაეფუჭებინა.

✦ 26 დეკემბერს, დილის 12 საათზე, ქართულ ბიბლიოთეკაში ქ-ნმა ან. წერეთლისამ წაიკითხა ანგარიში ჟურნალ „ჯეჯილი“-ს ათი წლის არსებობისა. როგორც აღმოჩნდა დაწვრილებით ანგარიშიდან ქ-ნ ან. წერეთლისას ამ ათ წელიწადში არა თუ არაფერი სარგებლობა არ უნახავს ამ გამოცემისაგან, არამედ ყოველ წლივ ორასი მანეთი დეფიციტი ჰქონია, რომელიც საკუთარ ჯიბიდან დაუფარავს. ხელის-მომწერთა რიცხვი ყოველ წლივ მცირდებოდა და ამ უკანასკნელ წელიწადს ტფილისში ჟურნალს იწერდა მხოლოდ 50 ოჯახი. ქ-ნმა ანასტასია წერეთელმა მიჰმართა საზოგადოებას თხოვნით, რამე დახმარება აღმოუჩინეთ ამ ერთად-ერთს ქართულს საბავშვო ჟურნალს, რომელსაც წინააღმდეგ შემთხვევაში დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოელის. დამსწრე საზოგადოებამ დახმარებაზე თანხმობა გამოაცხადა და შეუდგა იმის განმარტებას, თუ რა მიზეზები აბრკოლებენ „ჯეჯილი“-ს აყვავებას. ბოლოს გადაწყვეტილ იქმნა კომისიის არჩევა, რომელმაც „ჯეჯილი“-ს საქმე უფრო კარგად უნდა გაიცნოს და გამოსძებნოს საშუალებანი ჟუნალის მდგომარეობის გაუმჯობესობისა. ამ რიგად ამ საქმემაც ჩვეულებრივი გზა გამოიარა: მიენდო კომისიას. ჩვენში ყოველთვის რაც რამე საქმე გვაწუხებს, მაშინვე თავიდან მოვიშორებთ და იმ ბნელ უფსკრულში ჩავაგდებთ, რომელსაც სახელად „კომისია“ ეწოდება. რამდენი ამისთანა კომისია არის ამორჩეული, რამდენი კიდევ ამოირჩევა, ვინ იცის! ყვავმა თვისი შვილი ბუს მიუგდო,—შენ დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო...

ვისურვოთ, რომ ეს კომისიაც სხვებს არ დაემსგავსოს და გულით შეუდგეს კეთილ საქმეს.

კომისიაში არჩეულ იქმნენ შემდეგნი: ეკ. გაბაშვილისა, იაკობ გოგებაშვილი ილია ალხაზიშვილი, ნ. ზურაბიშვილისა, ვერა მიქაბერიძისა, ე. წულუკიძისა, ეკ. მესხი, ალ. მიქაბერიძე, ივ. როსტომაშვილი, გ. ლასხიშვილი, შიო ქუჩუკაშვილი ივ. გომართელი, კ. ელიოზიშვილი, შიო დედაბრიშვილი, ივ. გომელაური და მელიტონ გობეჩია.

---

# თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** დიდი ხანია ქართულ თეატრში წარმოდგენას ისეთი მშვენიერის ანსამბლით არ ჩაუვლია, როგორც 26 დეკემბერს. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე როგორც არტისტების ხელოვნურმა თამაშმა, აგრეთვე თვით მელოდრამამ „პარიზელი ლატაკნი“. ეს პიესა განსხვავდება სხვა მელოდრამებიდან საინტერესო შინაარსით, აზრით და ღრმა დრამატიული სცენებით. საუცხოვო სანახავი იყო ბ. ვასო აბაშიძე. ამისთანა ხელოვნური და შეგბნებული თამაში იშვიათი მოვლენაა არა მარტო ჩვენს სცენაზე. საკვირველის სინამდვილით დაგვიხატა მან თვალწინ ლატაკი გასტონი—უხეირო, მხიარული, ეშმაკი და ამასთან გულის სიღრმეში პატიოსანი და გულშემატკივარი ლატაკი. ამ სალამოს ბ. აბაშიძემ უნაკლულოდ შეასრულა თავისი როლი: არც ერთ სიტყვაში, არც ერთ ხელის განძრევაში არ ეტყობოდა გადაჭარბება. ბ. ყიფიანმაც კარგად შეასრულა დიუპონის როლი... მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივია: ბ.ბ. ვ. აბაშიძისა და კ. ყიფიანის კარგი თამაში არავის გაუკვირდება, ხოლო სწორედ გასაკვირველი იყო იმ სალამოს არტისტ-ქალების თამაში: ქ-ნი კარგარეთელი ძალიან აკლდა ჩვენს სცენას, და მისმა გამოსვლამ და ლაზათიანმა თამაშმა ძლიერ ასიამოვნა საზოგადოება; ქ-ნ ნებიერიძისამ ქვრივ ერნიეს როლში რიგიანათ ითამაშა, აგრეთვე რიგიანად ითამაშა ქ-ნმა გარელმა. ბ. გედევანიშვილმა ბევრი აცინა საზოგადოება. ბ. შათირიშვილი ნიჭის პატრონია და მასაც ურჩევთ სერიოზულათ შეამუშაოს თავისი ნიჭი, ეცადოს რაც შეიძლება გაანვითაროს იგი. კაპიტან ერნიეს როლს ჩვეულებრივ დაკვირვებით და შეგნებითასრულებდა ბ. კ. მესხი.

საზოგადოება წარმოდგენას ბლომათ დაესწრო.

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, ჩვენის ნიჭიერის არტისტის ბ. კ. ყიფიანის ბენეფისია. წარმოდგენილი იქნება „და-ძმა“.

ნარ-ზენ.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

**27 დეკემბერი.**

**პეტერბურგი.** 27 დეკემბ[ერს]
ცარსკოე სელოში, ალექსანდ[რეს]
სასახლეში, მათ იმპერატორებ[ით]
უდიდებულესობათ გამართეს შ[ო]
ბის ხის დღესასწაული საკუთარ
კონვოის ოფიცრებისათვის, გვა[რ]
დიის ბატალიონისა და სასახლ[ის]
პოლიციისათვის.

**მოსკოვი.** დღეს უნივერსიტ[ე]
ტში დაიწყო ფიზიკისა და ქიმ[იის]
მასწავლებელთა კრების სხდომ[ა].
უნივერსიტეტში გამართულია [გა]
მოფენა სხვა-და-სხვა ფიზიკუ[რი]
პრიბორებისა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ გ[ა]
ზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დ[ე]
პეშა ფრერიდან, 25 დეკემბერ[ს]
გამოგზავნილი: „დღეს, ნაშუა[დ]
ღევის ორ საათზე, კლარის დივ[ი]
ზია გამოვიდა ბანაკიდან იმ გან[ზ]
რახვით, რომ მტერზე იერიში მ[ი]
ეტანა. იერიშის მიტანა სიფრთხ[ი]
ლით დაიწყეს. ნაშუადღევის ხ[უ]
თის ნახევარზე ზარბაზნები მიმარ[]
თეს მტრის ჯარების შუაგულისა[]
კენ და დაუწყეს სროლა გორაზ[]
ხლანგვაის და სიმაგრის ეილი[]
შუა ვაკეზე მდებარე ბურების პო[]
ზიციებს. ექვსის ნახევარზე დაი[]
ყო მოქმედება ჩვენმა ჯარებმა დ[ა]
ჩქარა ხიდს ახლო მდებარე სიმაგ[]
რეებს მიუახლოვდა. კოლენზოს[]
უან დაუშინეს ზარბაზნები მტრი[]
თხრილებს, მაგრამ მტერმა არ უპა[]
სუხა.

მეორე დეპეშა ფრერიდანვე იტ[]
ყობინება, რომ ლედი-სმიტთა[ნ]
ბურები ისე ახლოს მიეპარნენ ი[ნ]
გლისელებს, რომ გორდონის გე[]
გლენდერებმა და ლანჩესტერ[ის]
პოლკმა ხიშტებით უკუ-აქციე[ს]
ისინი.

**ლონდონი.** ბულლერის ოფ[ი]
ციალური დეპეშა ფრერიდან, []
დეკემბერს: ნაშუადღევის 1 საა[თ]
ზე უაიტმა შემატყობინა, რ[ომ]
მტერმა დახმარება მიიღო სამხრ[]
თიდან და ბრძოლა არ შეუწყ[ვე]
ტია. შუადღისას უაიტმა შემატყ[ო]
ბინა დეპეშით: თუმცა მტერი []
ლა უკუ-ქცეულია, მე მაინც გა[]
შემორტყმული ვარ მტრის ა[]
რებელი ჯარით, ნამეტნავად []
ხრეთით. უეჭველია, იერიში კვ[ლავ]
დაიწყება. ამას ბულლერი დ[]
ძენს, რომ, რადგანაც მზე ჩავი[]
შემდეგ ცნობებს მხოლოდ ხვა[ლ]
უნდა მოველოდეთო.

**კაპშტადტი.** გენ. ფრენჩმა []
ბათს გამოგზავნა მოხსენება, []
საზოგადოთ ცვლილება არა[]

ქხდარა-რა. მხოლოდ სუფოლკის ირველ პოლკს თავს დაატყდა უბედურება: ოთხი როტა ამ პოლკისა წარსულ ღამეს გაემართა დაბალ გორაკისაკენ, რომელიც მდებარებს ბანაკიდან ერთი მილის მოშორებით და განთიადისას იერიში მიიტანეს ბურებზე. პოდპოლკოვნიკმა უატსონმა ბრძანების მიცემაც კი ვერ მოასწრო, რომ დაჭრილ იქმნა; ამიტომ ჯარს ებრძანა უკან დაეწია. როგორც თვით ბურები იტყობინებიან, ბრიტანიის ჯარის სამი მეოთხედი დაბრუნდა ბანაკში, ხოლო დანარჩენმა წინააღმდეგობა გაუწია მტერს მანამდე, სანამ გარეშემორტყმულ არ იქმნა ბურების აუარებლის ჯარით და იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. 70 მეომარი და 7 ოფიცერი ტყვედ იქმნა წაყვანილი.

**პრეტრია.** 23 დეკემბრის დეპეშა იუწყება, რომ ინგლისელები იძულებულნი გახდნენ დორტრეხტი დაეტოვებიათ. ამასთანავე ბურებმა 8 კაცი დაატყვევეს. კოლსბერგის გარშემო ბრძოლა არ შეწყვეტილა. ინგლისელებმა დაიჭირეს რამდენიმე გორაკი ქალაქის გარშემო. ინგლისელების ყუმბარები ცვიოდა ქალაქში.

მოდდერ-რივერთან არსებულ ბურების ბანაკიდან დეპეშით იტყობინებიან 23 დეკემბერს: გუშინ ნაშუადღევს ინგლისელები მთელი დღე ესროდნენ ზარბაზნებს ბურების სიმაგრეებს. ოთხი ბური დაჭრილია, ერთი იმათგანი მძიმედ. ღამე საშინელი სროლა ისმოდა ინგლისელების ბანაკში არეულობა მოხდა, როგორც აღმოჩნდა, უმიზეზოდ.

კოლენზოდან 23 დეკემბერს იუწყებიან: ბრიტანიის საზღვაო ზარბაზნებმა, რომლებიც გუშინ ჩუმად იყვნენ, კვლავ დაუშინეს დღეს დილით ბურებს ყუმბარები; ბურები იძულებულნი შეიქნენ თხრილებს ამოჰფარებოდნენ.

ნიაღვარისა გამო გუშინ მდინარე ტუგელი ძალიან მოდიდდა.

ვილიეს ციხეში ნახეს მრავალი თოფი და პატრონები ლი-მეტფორდის სისტემისა, რომელიც ინგლისელთ ჩაეფლად მიწაში, როდესაც ციხეს სტოვებდნენ.

**ლონდონი.** „დაილი ნიუს“-ის სიტყვით, ერთი დივიზია უკვე მზად არის სამხრეთ-აფრიკაში წასასვლელად.

ლედი-სმიტზე იერიშით მისვლის დროს, როგორც „დეილი მაილ“-ი იუწყება, მძიმედ დასჭრეს მარკიზ დიუფერინის უფროსი შვილი.

— **გააგა.** ნიდერლანდის მთავრობა სთხოვს ინგლისს, თავისუფლად გაატაროს მეორე რაზმი სანიტართა დასისა, რომელიც გერმანიის გემზე „ჰერცოგ“-ზე იმყოფება.

**ლონდონი.** მთავრობა აცხადებს ნებას არტილერიის ოთხი ბრიგადის დაარსების შესახებ; თითოში სამი ბატარეია იქმნება.

**ნიუ-იორკი.** როგორც აქ მოსულ ცნობებიდან სჩანს, კოლუმბიის პრეზიდენტი სან-კლემენტე გარდაცვლილა. ამის გამო იქაური პოლიტიკური მდგომარეობა, უეჭველია, აიწეწ-დაიწეწება.

**სენტ ეტიენი.** ქვა-ნახშირის მადნებში ყოველგან კვლავ დაიწყო მუშაობა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ „დეილი ნიუს“-ი იტყობინება, რომ ილვალის ნავთ-საშენებელში ლონდონის დამოჟნის მოხელეთ იპოვეს ორი ზარბაზანი. ზარბაზნები მოთავსებული იყო ხის ყუთებში და იგზავნებოდა ქ. ქრისტიანიაში. შემდეგ გაზეთები იტყობინებიან, რომ სამხედრო სამინისტროს შეუტყვია, ვითომც ინგლისიდან ბურებისთვის გაეგზავნოთ იარაღი და სხვა და სხვა სურსათი. პარასკევს დამოჟნის მოხელეებმა აღმოაჩინეს გემზე ექვსი ზარბაზანი მაქსიმეს სისტემისა გემი დააპატიმრეს.

„რეიტ. სააგენტოს“ კორესპონდენტი იტყობინება რენსბურგიდან, რომ ინგლისელებმა კოლსბერგთან 70 კაცი დაჰკარგეს; მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ცნობაში ჯერ არ არის მოყვანილი. ახტერნიის გზა, მიმავალი ორანჟეს რესპუბლიკისაკენ, ისევ ბურების ხელშია.

**ნიუ-იორკი.** ამას წინად „ნიუ-იორკ ჰერალდის“ კორესპონდენტი იუწყებოდა, რომ გერმანია დაეკითხა შეერთებულ შტატებს, თანახმა იქმნება იგი თუ არა შეერთებული დიპლომატიური მოლაპარაკება გამართოს ინგლისთან გემების დაჭერის შესახებ. ეხლა იგივე კორრესპონდენტი ამბობს, რომ შეერთებულ შტატებს არ ჰსურთ რომელიმე სახელმწიფოსთან ერთად იმოქმედონ, რათა მოსთხოვონ ინგლისს არ დაიჭიროს გემები. მაკ-კინლეი იმ აზრისა არის, რომ ამგვარი კითხვები უმჯობესად გადასწყდებიან ინგლისსა და ამერიკის შუა კერძო მოლაპარაკებით. ამიტომ გაუგზავნა ამერიკის ელჩს ლონდონში შესაფერი დარიგებანი.

28 დეკემბერი

**ლონდონი.** „რეიტერის სააგ.“ უაიტი ლედი-სმიტიდან იტყობინება 15(?) დეკემბერს, ნაშუადღევის ორ საათზედ. გუშინ დილით ბურების ჯარებმა დაიწყეს მოქმედება. ვგმათი უმთავრესი მიზანი იყო ვაგვონის გორაზე მდებარე სიმაგრის ცეზარე-კამპის აღება. მტრის აუარებელი ჯარი მამაცურად, დიდის ენერგიით იბრძოდა, ვაგგონის გორაზედ მტერმა რამდენიმე ჩვენი საფარი აიღო, მაგრამ ჩქარა ისევ განდევნილ იქმნენ ჩვენი ჯარებისაგან. ბრძოლა საღამოს რვის ნახევრამდის გასტანა. ჩვენი ერთი პოზიცია მთელი დღე მტრის ჯარსა ჰქონდა დაკავებული, მაგრამ ბინდზე, დიდი წვიმის და ნიავღვრის დროს, დევონშირის პოლკი პოლკოვნიკ პარკის წინამძღოლობით, დაეცა მტერს ხიშტებით და განსდევნა პოზიციიდან. გორაკ ვაგონზე მყოფ ჯარს უფროსობდა პოლკოვნიკი გამილტონი, რომელმაც შესამჩნევი სიმამაცე გამოიჩინა. მისი ჯარი განსაცდელის წამსაც კი მამაცურად იბრძოდა და ამაყობდა იმით, რომ ემსახურება დედოფალს. მტერი უკუქცეულ იქმნა. მათი ზარალი ჩვენსაზე მეტი უნდა იყოს. ანგარიში ჩვენი ჯარების დანაკლისისა გახოცხადებულ იქმნება თავის დროზე.

„ტაიმს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ სუფოლკსკის პოლკს მოუკლეს 7 ოფიცერი ოა 39 ჯარის კაცი. ტყვეთ წაიყვანეს 50 ჯარის კაცი.

„gIole“-ის კორრესპონდენტი თავისს წერილში მოდერ-რივერიდან, 14 დეკემბერს, ამბობს, როდესაც ასწერს მაგერსფონტენის ომს, რომ მეტუენი და გენერალი უოჩოპი, რომელიც გაილენდრების ბრიგადას წინამძღოლობდა, ვერ შეთანხმებულიყვნენ იმის შესახებ, თუ როგორ დაეცნენ მტერს საუკეთესოდ. მეტუენის აზრმა გაიმარჯვა. ორცეცხლ შუა ჩავარდნილი უოჩოპის ბრიგადა სრულებით გაიჟლიტა. მოკლულ იქნა თვით უოჩოპიც, რომლის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ღვთის გულისათვის, ძმებო, ნუ გამკიცხავთ!“ შემდეგ კორრესპონდენტი ამბობს, რომ ხშირი და უნავოფო გამოსვლა უხილავ და სიმაგრეებს ამოფარებულ მტრის წინააღმდეგ, იმედს უკარგავს და აფრთხობს ჯარს.

**ნიუ იორკი.** „რეიტ. სააგ.“ სან-დომინგოდან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ მივიდა საფრანგეთის სამხედრო გემი „სესილ“. „რეიტერის სააგენტოს“ სიტყვით, მთავრობამ აკრძალა მანიფესტაცია, რომლის მოხდენას აპირობდნენ, რადგან საფრანგეთის კონსულს შეეძლო ამ მანიფესტაციაში საფრანგეთის შეურაცხყოფა დაენახა.

**ვაშინგტონი.** „რეიტ. სააგ.“ პეტიგრიუმ რეზოლიუცია შეიტანა სენატში, რომლითაც მთავრობას ნება ეძლევა იკისროს შუამდგომლობა დიდის ბრიტანიისა და სამხრეთ აფრიკის ორივე რესპუბლიკათა შორის მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად.

**მანჩესტერი.** „რეიტერის სააგ.“ ბალფურმა ამომრჩეველთ მიჰმართა სიტყვით, რომელშიაც მან ახლანდელი მდგომარეობა შეადარა შარშანდელთან, როდესაც ისე სასურლია იქმნა გათავებულ ფაშოდის კითხვა ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

**გონლულუ** “რეიტ. სააგ.“ 14 დეკემბერს შავი ჭირით ექვსი კაცი გარდაიცვალა.

**ვაშინგტონი.** „რეიტ. სააგ.“ ამერიკელი უფროსი ექიმის დეპეშით იტყობინება, რომ ფილიპიენის კუნძულებზე სამი კაცი გირდაიცვალა შავი ჭირით.

**ვენა.** კორ. ბიურო“. ავსტრიის დელეგაციის ხარჯთ-აღრიცხვის კომისიაში შეტანილ იქმნა დუმბის მოხსენება შესახებ გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვისა. უნგრეთის დელეგაციის კომისიაში იმავ ხარჯთაღრიცხვის შესახებ შეტანილ იქმნა ვალკის მოხსენება. ორივე მოხსენება შეეხება, სხვათა შორის, გააგაში მომხდარ კონფერენციას, რომელიც გამოწვეულიი ყო რუსეთის დიდსულოვანის იმპერატორის წინადადებით და ორივეში ნათქვამია, რომ დელეგატთა წევრები გულმხურვალედ მოელიან ამ კაცთ-მოყვარეობრივი საქმის გაგრძელებას.

დრ. რედაქტ. **ალ. ჯუღნია.**

## გამოსადეგი ცნობანი

### საკალენდარო ცნობები

**ოთხშაბათი,** 29 დეკემბერი; ახალი სტილით 1900 წლის 10 იანვარი. 1899 წლის მე-363 დღე; წლის დასრულებამდე დარჩა 2 დღე. მთვარის მე-10 დღე. ხსენება წმ. ჩჩვილთა ათოთხმეტ ათასთა ქრისტესთვის მოწყვეტილთა იროდის მიერ და ღირსთა მამათა მარკელისა, მარკოზისა, თადეოზის, თეოფილესი და იოანნესი. სომეხთ კალენდარი: პირველი დღე შობის მარხვისა. კათოლიკეთა კალენდარი: ხსენება თომასი და ურბანისა. მაჰმადიანთა კალენდარი: ჩაჰარ-შანბე, მე-9 რიცხვი თთვისა რამაზანისა; 1317 წ. ჰიჯრისა.

**ხუთშაბათი,** 30 დეკემბერი; ახალი სტილით 11 იანვარი 1900 წლისა;

1899 წლის მე-364 დღე; წლის დასრულებამდე დარჩა 1 დღე. მთვარის მე-11 დღე. ხსენება წმ. მოწამისა ანისიასი და მოციქ. ტიმონისა, ღირსისა თევდორესი სომეხთ კალენდარი: მე-2 დღე შობის მარხვისა. კათოლიკეთა კალენდარი: ხსენება წმ. აბრაამისა და დავითისა. მაჰმადიანთა კალენდარი: ჰიანჯ-შანბე, მე-10 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1317 წ. ჰიჯრისა.

შემდეგი უქმე—შაბათს 1 იანვარს, ახალ—წელიწადი.

---

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —7½ კ. | |
| სუკი . . . . | 1 „ | —12 კ. | |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 კ. | |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 კ. | |
| „ ღორისა . . | „ „ | — 5 კ. | |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. . | 1 „ | — 9 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3½ „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

---

## ტფილისის ბაზრები

| გაიყიდა: მეიდნებზე | | | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უცრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ., შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი 3 თათრული 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, —მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 35 კამეჩი შესაბმელი —

---

## რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | | ხარისხი. | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 | კ. | № 4—7 „ | 25 | „ |
| № 1—8 „ | 50 | „ | № 5—7 „ | — | „ |
| № 2—8 „ | — | „ | № 6—6 „ | 75 | „ |
| № 3—7 „ | 50 | „ | № 7—6 „ | 25 | „ |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 კ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე. მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ ფშხვნილი „ 4 „ 80 „ მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60-მდე.

---

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში – 60 მ. თვ.

—

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

—

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

—

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

—

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

—

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

—

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

—

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის სა ავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

—

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

—

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

---


# განცხადებანი

სალდათის ბაზრიდან ჩემი **აზიური სახელოსნო** გადამაქვს სომხის ბაზარში, ჯიგრაშენის ეკლესიის გვერდზე. კოსტა გრიგორის მე გოქამე. 4—1.

---

**თეორია და პრაქტიკა**

ფრანგულის ენისა

გეიდენის ქ., № 6, ქვემო სართული.

**სადილის შემდეგ 5—6 საათზედ** იქვე დაქვეითებულ მოსწავლეთა გამეჯითება.

---

საუკ თესოდ მოწყობილი

# სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

---

## ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ჭყონიასაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალავერდის ეპისკოპოზის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება . . . . . . . . | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი. . . . | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . | 1 მ. 50 „ |
| ბრმუალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . | | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . . | | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება


გამომც. გ. ჟუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Декабря, 1899 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ისა. დიდი ვანქის ქუჩა, № 2